

# დროება

გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს ბარდა.

შანი განსახლებული

დადი ასოებით ასოზე 1კოპ., წიგნები...  
რელით ასოზე ნახევარი კაპ. წვეულებრივად ასოთი ასო.  
სე შეკრებილი კაპ.

ოუ ხაჭატიანი პოეტიკის, რედაქცია გაასწორებს და  
ქართულს დასაბუთებლად გამოავსავს წერილებს. დაუ-  
ბეჭდელ წერილს რედაქცია უაპტიო ვერ დაუბრუნებს  
ავტორს.

განცხადება მ-ლებს ქართულს, რუსულს და სხვა ენებ-  
ზე.

## რედაქცია

დროებას შექმნილია, უკანასკნელის თვეში მარცხნივ თ. ლ. უკანასკნელის  
დროების სისხლის, № 2.

## ხელის-მომწერა

„დროებას“ „ივერიის“ რედაქციაში გადგე  
გზავრებთათვის: ВЪ Тифлисъ, въ редакціи  
„Дროება“ „Иверіи“

## „დროებას“ „ივერიის“ შანი

წელიწადში 6 თვეს. 3 თვეს

„დროებას“ „ივერიის“ ერთად. . . 13 მან. . . 7 მან. . . 4 მ.

„დროებას“ „ივერიის“ . . . 9 მან. . . 5 მან. . . 3 მ.

„დროებას“ „ივერიის“ . . . 6 მან. . . 4 მან. . . 2 მ.

## 1 ავვისტოდაც წლის დასაწყისად

### დროება

ღირს ოთხი მანეთი

### ივერია

ოთხი მანეთი

„დროებას“ და „ივერიას“ ერთად

შვიდი მანეთი

## ქალაქის თვით მმართველობა

ტფილისი, 2 აგვისტოს.

ხშირი, ერთობ ხშირი საყვედურები და უკმაყოფილება ისმის ჩვენი და საზოგადოთ მთელ რუსეთის ქალაქების თვით-მმართველობაზე. რაც რამ უბედურება, განსაცდელი ან გაჭირება დააწყდება ქალაქის ხალხს, ყველაფერში ამ თვით მმართველობას აბრალებენ. შიმშილი, სიცივე, სიძვირე, ქირი, ავთამყოფობა, სიღარიბე უმცირესა—სულ ყველაფერი თვით-მმართველობის ბრალია! იმას აბარია ქალაქის ბედი და იმის ვალია, რომ ყველა უბედურებასა და გაჭირებას განსაკურნებელი წამალი აღმოუჩინოს.

შეველია, რომ ეს ამ გვარი გამტყუნება ქალაქის თვით-მმართველობისა, ამ გვარად ყველა უბედურების იმის თავზე მოხვევა, ერთობ მომეტებული უსამართლობა, ერთობ უსამართლო ბრალდება; ყველაფერში ის არ არის დამნაშავე, ყველაფრის განკურნება, ყოველ გვარ სენის მორჩენა იმას არ შეუძლია.

## ფელტონი

დუღუკი

აი ჩვენი ქალები!

მჩიარობ, მკითხველო, თქვენს ბედნიერს ყურს  
აწ მოვასმინო დანაპირები;  
მხოლოდ იცოდეთ, რომ არ ვმღერ ამურს:  
ჩვენ ქალთა კიცხვას მე ვეპირები!

იქნება თქვენთვის იყოს მარტივი  
მს ჰაზრი ჩემთვის დიხაც რთული!  
პირ-და-პირ ვკიცხავ არ მაქვს პატივი,  
მისაც არ მოსწონს „ყველა ქართული“!

საუბედუროთ, თვალში მეცემა  
სწორეთ ისინი, ვის ვერიდები;  
მისაც ჩვენგან აქვს პატივის-ცემა:  
ჩვენი დედები, ცოლები, დები!

მაგრამ, მეორეს მხრით, ისიც უეჭველია, რომ ქალაქის თვით-მმართველობას, ე. ი. ქალაქის რჩევასა და ბამგეობას, თუ კარგის წვერებისაგან იქნება ის შემდგარი, ერთი-ორად უფრო მომეტებულის ვაკეთება შეუძლიან, ერთი-ორად უფრო მეტი დახმარება შეუძლიან ხალხსა, ერთი-ორად უფრო მომეტებულის კეთილ-დღეობის გაჩენა შეუძლიან თავის საწყისო ქალაქებში, ვიდრე ამხლა ეხედავთ.

მაგრამ ახლანდელ ჩვენი ქალაქების თვით-მმართველობას თავის გასამართლებელი საბუთი ამ შემთხვევაში. მს თავის გასამართლებელი საბუთი აქვს იმას თვით კანონში, თვით იმ „საქალაქო მებუღებაში“, რომლითაც ის ხელმძღვანელობს და რომელიც განსაზღვრულია იმის უფლება და მოვალეობა.

შმათვერსი ნაკლები ენება ამ მებუღებისა ის არის, რომ ქალაქის თვით-მმართველობა ამ ქანად ერთობ დამოკიდებულია ადმინისტრაციისაგან და განსაკურთრებით ბუბერნიის საქალაქო საქმეთა პრისუსტვისაგან. ადმინისტრაცია და ამ პრისუსტვიას შეუძლიან დაარღვიოს და გააუქმოს ყოველი მოქმედება, ყოველი ნაბიჯი და საქმე ქალაქის თვით-მმართველობისა. მართალია, თვით მმართველობას უფლება აქვს იჩიელოს სენატში, მაგრამ სანამ იქ საქმე გადაწყდებოდეს, მანამ ადვილად შეიძლება, რომ ეს საქმე სრულდებოდეს დაიღუპოს, გასაქმებელიც აღარ დარჩეს.

მეორე დამაბრკოლებელი მიზეზი ქალაქის თვით მმართველობისა კიდევ უფრო საყურადღებოა.

მოგესვენებათ, რომ „საქალაქო მებუღების“ ძალით, ქალაქის ამორჩევებში მონაწილეობის მიღება ე. ი. ხმოსანების ამორჩევა და თვითონ ყოფნა ხმოსანად და გამგეობის წევრად, მხოლოდ ისეთს პირებს შეუძლიან, რომელნიც სხვათა შორის, ოცდახუთის წლის ნაკლებნი არ არიან, ქალაქში აქვსთ უძრავი მამული, რომლისთვისაც ქალაქის სასარგებლოდ ხარჯს იხდის, ორი წელიწადი ცხოვრობს ქალაქში და თუ ქალაქის ხარჯი სრულიად აქვს გადახდილი.

ამ კანონის ძალით, ახლანდელ თვით-მმართველობას შეადგენენ მხოლოდ მდიდარი სახლის და ღუქნის პატრონები და ვაჭრები. დიდი ნაწილი განათლებულ მცხოვრებლებისა კი, რომელთაც არც უძრავი მამულები აქვსთ ქალაქში და არც ვაჭრობენ, კენჭს მოკლებულნი არიან: იმათ არა აქვსთ უფლება, ქალაქის რჩევის ხმოსანთა არჩევის დროს ხმა იქონიონ ან თვით-იქმნენ ამორჩეულნი ხმოსანად.

ეს გარემოება დიდად მავნებელია ქალაქის თვით-მმართველობისათვის. მდიდარი და წვრილი ვაჭრები და უძრავ მამულების პატრონები, რომელთაც ქალაქში თავის საკუთარი ინტერესი აქვთ, რაც უნდა საზოგადო საქალაქო საქმეს სჯიდნენ, ყველაზე პირველად (ესეთი კაცის ბუნება, განსაკუთრებით განათლებული კაცისა) თავის კერძო სარგებლობას დეძებენ: ეს ქუჩა რომ გაფართოვდეს, ჩემთვის სარფა იქნება, თუ არაო; აქ რომ მოედანი დაიხუროს და იქ გაიმართოს, ჩემს ღუქანს გამოადგება, თუ არაო; ტაქცია რომ

დაინიშნოს, ჩემთვის საზიანო იქნება, თუ არაო და სხვ. და სხვ. სულ მუდამ ამ გვარი აზრები ებადება თავში თითქმის ყველა ხმოსანს—ვაჭარსა და უძრავ ქონების პატრონს, როდესაც ამისთანა საგანზე ჩამოვარდება ლაპარაკი ქალაქის რჩევაში. იმას ვერ დაუფიქრია თავის საკუთარი კერძო ინტერესი.

შანათლებული ნაწილი ქალაქის მცხოვრებლებისა, რომელთაც ქალაქში მალაზიები, ღუქნები და სახლები არ აქვსთ, ამ მოსაზრებით, ამ ვიწრო ინტერესების დევნით არასოდეს არ იხელმძღვანელებენ. იმას რომ ქალაქის საქმეების გარდაწყვეტაში ხმა ჰქონდეს, თუ ნამდვილად განათლებული კაცია, ყველაზე პირველად იმას მიაქცევს ყურადღებას—ესადაც საქმე სასარგებლო იქნება ქალაქის მცხოვრებთა მომეტებულ ნაწილისთვის, თუ არაო.

ამას გარდა განათლებული, ნასწავლ კაცმა უმცარ ვაჭრებზე ყოველთვის უკეთ იცის—რა ეჭირება ქალაქს, ხალხს, როგორ შეიძლება განათლებითა და სხვა მხრით ხალხის კეთილ-დღეობამდინ მიღწევა; სად, ვის და როგორ უნდა დარჩეს დახმარება; თავის პატიოსანის შრომითა და ჭკუით პურის მომპოვებელი, ის მდიდრებზე უფრო თანაუგრძობს ღარიბებს, რომელნიც, საუბედუროთ, ყოველთვის და ყოველგან ქალაქის მცხოვრებთა მომეტებულს ნაწილს შეადგენენ; უფრო თანაუგრძობს და უფროც ეცდება იმის დახმარებას, იმის ხელის-მომართვას, მაშინ როდესაც მძღარ მდიდარს მთელი ქვე-

რაც დღე-ღამე სტანჯავს მამულის-შვილსა!

საკმაოდ გძინავთ! აწ განიღვიძეთ და თქვენს გარეშე მიმოიხედეთ; რაც რომ გეძინათ—ახლა იფიზღეთ: მის დააკვირდით, საქმეს დახედეთ!

ჩვენი მომავლის ხართ თქვენ დედები, მალი გაქვთ მამულს რომ ემსახუროთ: შეიღებთ ზარდით მორკმულ-მხნეები, „მომობლის“ სახელი დაიმსახუროთ!

აღბრათ მომობლური უმან კო გული, გეჩვენათ თქვენი ჩვენ შემწეობა; მაჰთანტოთ ნისლი ეს მობურვილი, რომ შვილთ წარუძღვეს კეთილ-დღეობა!

გამოახურვით გული სიმტკიცით, სტანით ყოველი ზნე, ავ-კარგობა!

და მაშინ ნახავთ, გაჩნდეს თქვენში ციო, მინც რომ შეიძლოს „შანა ღარკობა“!

მაგრამ ვის უთხრა, ან ვის შეეჩივლო, რაც ასე მწარედ გულსა მიწუხებს?! შეველა მათგანი დაცნით, ზიზღით მისა და პირში მე შემფურთხებს:

„მის დაჰკარგეხარ? ან რას დაეძებ? „გაგიჭებულხან—რას მეოხები“?! მაშინ მეც ვეტყვი, რომ დედათ ნაცვლად წარმოგვივილინა დემრთმა ძროხები!..

ამ „არაკების“ ვისა აქვს თავი! ხომ ვერ ჩიიცვავს კაბას ურუშოს: „ჩაის“ კაბები აქვს მოსართავი, ძვირას კლუბში სურს, მან იკუნტრუშოს!

ამ-დროს ქალია—„განათლებული“, სწავლით ყელამდის მთლათ შევისლია, შოველს კრებაში არს მიღებული; მერე თქვენ იცით, ვისი შვილია?!



ყანა მადლარი ჰკონია და თავის მუცლის დარდის მეტი სხვა დარდი არა აქვს-რა.

რუსეთის ქალაქების თვით-მმართველობათა დიდი ხანია დინანეს, იგრძნეს ეს თავიანთი ნაკლებად და ზოგიერთმა ამათგანმა, მაგალითად მდესსამ, ჩერნიგოვმა, ძიევიმა და სხვებმა, უმაღლესს მთავრობას სთხოვეს, რომ შეიცვალოს „საქალაქო დებულებების“ ეს დამაბრკოლებელი მუხლი და ისეთს პირებსაც მიეცეს საქალაქო საქმეებში მონაწილეობის მიღების უფლება (ხმოვანობის უფლება), რომელთაც უძრავი მამულები, საკუთარი მალაზიები და სახლები არა აქვთ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უმაღლესი მთავრობა, ადრე თუ გვიან, შეიწყნარებს ამ თხოვნას და მაშინ, უეჭველია, ქალაქის თვით-მმართველობის საქმე უკეთ წავა; მაშინ უკეთ ასრულდება ის თავის მიძიმე მოვალეობას, ვიდრე ამას ასრულებს..

ახალი ამბები

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოყვანილი, რომ ბ. შოთაშვილი და სიმბორსკი რუსულ სატირიკულ სურათებიან გაზეთის, სხვლად „ქალაქის“ გამოცემას აპირებენ. ბ. სიმბორსკი აცხადებს ახლა გაზ. „ბაკაზში“, რომ შარშან ივნისში ვითხოვე იუმორიულ გაზეთის „ზურნია“ გამოცემას, ნება-რთვა ვერ მივიღეთ და ახლა სხვა გაზეთის გამოცემის განზრახვა, არც მართა და არც სხვასთან ვისთან მე, არა მაქვს.

დიდი ამბავი დაწია და ახლაც ბევრს ლაპარაკობენ უცხო ქვეყნების გაზეთებში იმ გარემოებაზე, რომ ერთმა ვილაც ამერიკელ დოქტორმა ტანერმა ორმოცი დღე ისე იმარხულა, რომ პირველ თხუთმეტის დღის განმავლობაში სრულდებოდა არც არა უჭამია-რა და არც არა დაუღევია,

მართული ენა ცოტა არ უყვარს, მაგრამ არ არის დასაძრახისი: ის არ სჯობიან, (ენი იტყვის უარს!) ჩვენი მივმალეთ, ვიპაროთ სხვისი!

მართულის ნაცვლად მან მტკიცეთ იცის რუსული ენა და ფრანციკული: ამ ორის ერთ მას შეუძლიან ხვევანა, ალერსი კატურ-ციკური!

ჩვენ კი ვემდურით: „არ სწყალობს ქართულს!“ მთხოვთ, მიპასუხოთ, მე გკითხავთ თქვენა: ნუ თუ შეშვენის „მოდაზედ“ მართულს მართული ქცევა და ანუ ენა?!

II

ჩვენი ქალები მუქთა მკამლები, აწ მოგახსენებთ, რასაც სჩადიან:

და შემდეგ ოც-და-ხუთი დღე დღეში მხოლოდ თითო-ორიოლ სტაქან წყალსა სვამდა.

ამის თაობაზედ გვწერენ, არ ვიცით კი—რამდენად სარწმუნოა ეს ამბავი, —რომ ჩვენში ორმოცის დღის მარხულობა ხშირად ყოფილაო და სხვათა შორის, მოჰყავსთ ერთი მაგალითი თ. ღიმიტრი მარხნიშვილის მეუღლი-სა—ღარიისა, რომელსაც ქალი ჰყოლოდა ავით და აღეთქვა, რომ თუ ეს გადამირჩება, ორმოც-და-ექვს დღეს არც არა ვსჭამო და არც არა ვსვაო. ბ-ნა ღარიას აესრულებინა ეს აღთქმა, მაგრამ ორმოც-და-მეშვიდე დღეს ერთობ ბევრი ეჭმა და ამის გამო მომკვდარიყო უეცრად...

მიღაც მართიროზე ახნაზაროვი გამოჩენილა ჩვენს ქალაქში, რომელიც, ამბობენ, ძალიან არჩენს ჭიასაო (სოლიტერს). ბაზ. „ბაკაზში“ იწერება ერთი ვილაც, რომ 16 ივლისს მივიღე იმის წამალიო და დღეს, 28 ივლისს, სრულდებოდა განთავისუფლდი ამ საცაველ ავთმყოფობისაგანო.

მოგვხსენებთ, რომ ახლანდელი ნასწავლი ექამები ძალიან ძნელად არჩენენ ჭიასაგან ავთმყოფს და თუ მართალია, რასაც იმ ახნაზაროვზე სწერენ, ძალიან კარგი იქნება, რომ ჩვენმა მედიცინის საზოგადოებამ მიაქციოს ამას ყურადღება და, თუ შეიძლება, შეიძინოს იმისაგან ამ ავთმყოფობის წამლობა.

რუსეთიდან ძალიან ცუდი ამბები მოდის წლევეანდელ პურის მოსაგალებზე; განსაკუთრებით სამხრეთ რუსეთში მომეტებული ნაწილი მოსაგლისა პურის ჭიას გაუფუჭებია.

მაგრამ სპარსეთში ისეთი მოსაგალი არისო, რომ ოცი წელიწადია ამისთანა მოსაგალი კაცს არ ახსოვსო და ადგილი არა აქვსთ—არ იციან სად შეინახონო.

ჩვენც, ღვთით, ვერ ვიჩივლებთ წლევეანდელ მოსაგალებზე. პური, ქერი

და თივა ბლომით მოგვივიდა, დეინოსაც არ ვემდურით ჯერ-ჯერობით, თუ შემდეგში სეტყვამ ან სხვა რამემ არ წაგვიხდინა. მხოლოდ აქა-იქ მართლისაკენ სჩივიან, რომ კალიამ გააფუჭა პურებიო; მაგრამ ყველგან რომ ბლომით მოვიდა, თუნდა მთელ მართლშიაც არ მოსულიყო, იოლად გამოვიდოდა.

შარშან და წელს ზამთარში და შემოდგომაზე რუსეთიდან მოჰქონდათ ჩვენში პური და ქერი. მინ იცის, წელს იქნება ისე მოხდეს საქმე, რომ ჩვენი პური რუსეთში გასაგზავნი შეიქნეს. შოველ შემთხვევაში ჩვენებური პურის მომყვანლები ნუ შეშინდებიან: იმათ უხვ მოსაგალს კარგი გასაგალი ექნება...

ბაზეთს „ბაკაზში“ დაბეჭდილია მარსიდან მიღებული კორესპონდენცია, რომლის ავტორი იწერება, რომ მთელის მარსის მარსიდან თითქმის ყველა მაჰმადიანი მცხოვრებლები სტოვებენ თავიანთ მიწა-წყალს, ადგილ-მამულს და მსმალეთში გადადიანო.

სხენებულ გაზეთის სიტყვით, ამის მიზეზი ის არის, რომ ადრე, მსმალს ხელში, ეს ხალხი ბატონად გრძობდა თავის თავს, როგორც უნდოდა, ისე ეპყრობოდა ქრისტიანებსაო და ახლა, რუსების ხელში, თავის თავი დაჩაგრულად მიჩნით, ძველებურად ბატონობის ნებას აღარ მისცემენო, და ამის გამო გადადიან იქ (მსმალეთში). სადაც იმათ ბედის გამგებლად ქრისტიანები (გიაურები) არ იქნებიანო.

იქნება ერთი მიზეზთაგანი მარსის მაჰმადიანების გარდასახლებისა ესეც იყოს. მაგრამ არა გვეგონია, რომ მართა ამას მიეწეროს ეს გარდასახლება; უეჭველია, აქაც, როგორც ბათქმის მარსშიაც თითქმის სხვა მიზეზებიც მოაბოება, რომელთაც თითქმის იმულებული განხადეს ხალხი, რომ თავის სამშობლო ქვეყანა მიეტოვებინათ...

ივლენ ფერსა  
შმარლოს ბევრსა  
თავიანთ ადათს არ გადადიან!  
—  
მიწრო კორსეტში,  
იმ გამხმარ ყესტში  
ბაშეშებულნი ძლივსლა დადიან!  
ხელში მარაო  
თაბხის სწოროაო  
უჭირავთ, აღარ გადაადიან;  
—  
მით კეკლუცობენ,  
(თუმც ტუტუცობენ!)  
დადიან, ნაზათ არხევენ ტანსა;  
სტაცებენ ხელსა,  
(მინ გაამხელსა?)  
მისაც ნახვენ თან წასატანსა!...  
—  
პეკლუცათ, ნაზათ,  
ნელა, არ მარდათ  
ძინკილით ბულვარს ჩამოუფლიან:  
ნახვენ „კავალერსა“,

„მანოს“ ან „მალერსა“,  
მათ მკლავში ტურთათ ხელს გაუყრიან!  
—  
ჰა, ფაიტონი  
მათ მოსაწონი  
უცბათ მოჰქროლავს „სან-სუსისაკენ“!  
ბე მუსაიფი,  
მშხით ქეიფი  
მღელვარე არშიეთ ნეტავ მაჩვენა!..  
—  
ბი ცხოვრება!  
მშ, ნეტარება!  
ნეტავი იმათ დედის ყოშებსა!  
მათი ნაზარდნი  
„მჯახის ვარდნი“  
უნდა დასდევდენ ვილაც ოხრებსა...  
—  
მაშ რა აკეთონ,  
მთუ არა სთესონ  
მათ სიყვარული თვის კავალრებში,  
და თვის არჩეულთ  
ნაზარდთ და რჩეულთ  
რომ არ უყურონ ეშხით თვალებში?!

ჩვენ შევიტყვეთ, რაზედ ვხარხარობს მოღვაწის საქართველოში. აკადემიკოსს ბროსეს თავი დაუნებებია პეტერბურღისა და სამეცნიერო აკადემიის წევრობისათვის და სამუდამოთ გადასახლებულა თავის ცოლ-შვილით პარიჟში. იქ დავადებულვარ და ჩემი უკანასკნელი დღეები იქ უნდა გავატაროვო.

შუმიდამ იწერებიან, რომ ამას წინათ ამ ქალაქში რუსულ სცენის მოყვარეთ რალაც პიესა უთამაშნით, რომელშიაც მარსის უფროსის, ექიმი და სხვა პირები ცუდის მხრით არიან გამოყვანილიო. ადგილობრივ ადმინისტრაციას ეს თვის-თავზე მიუღია და ისე გაჯავრებულან, რომ კინაღამ სცენაზედ უწესობა არ მომხდარა...

ძანეთიდან გვწერენ, რომ ეს ერთი წელიწადია, რაც სოფ. ბურჯანში სკოლა დაკეტილიაო, მაგრამ მასწავლებელი ჯამაგირს მაინც იღებსო. სკოლის დაკეტის მიზეზს იმას ამბობენ, რომ სახლი არ არის ჯერ მზათაო.

მანგლისიდან გვატყობინებენ, რომ ამ მოკლე ხანში იქითკენ დიდი წვიმები ყოფილა და ბევრი ზარალიც მიუცია ამას ხალხისათვის.

წერილი ჩადატორთან

ივლისის თვის „დროების“ ერთს ნომერში დაბეჭდილი იყო, პატარა შენიშვნა, შესანებ ჩემგან შეკრებულს ძველს ხელთ-ნაწერს წიგნებზე, რომ ჰყიდისო და კარგი იქნება, ჩვენმა „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ შეიძინოსო.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ხსენებულმა საზოგადოებამ მთხოვა, მოგვიყიდეთ, რადგანაც ძველ ხელთ-ნაწერ წიგნების ბიბლიოთეკა გვიდა დავარსოთო. ამის შესანებ „დროებაშიაც“ ბევრჯერ იყო წერილები-მეც, როგორც საზოგადო საქმისა და

მს არს მაღალი  
ჩვენ დიაცთ ვალი,  
მიწით ზეცამდი დანიშნულება!..  
მთუნდ „ბატასუნას“.  
ძალბთ უტუნას,  
ჰკითხეთ ამაზედ განკარგულება!..  
\* \* \*  
მს ჯერ არ კმარა...  
ამის ამარა  
მე ვერ დავტოვებ ჩვენსა ქალებსა:  
ბული ეომის,  
მიღრე ზნეობის  
ბრ წამოსცივათ ცრემლი თვალებსა!..  
—  
შსაქმოობა  
და ზარმაცობა  
შველას სახეზე აქვს დახატული!  
„სად გავიპაროთ?“  
„მინ შევიყვაროთ?“—  
მხოლოდ ამისთვის მათ უცემთ გული  
—  
„დღეს რა ჩავიცვათ?“

სამშობლო ლიტერატურის პატრო-  
ნობისა და აღორძინებისათვის დაარ-  
სებულ საზოგადოებას უარი ვერ უთ-  
ხარი და წარუდგინე წიგნები დანიშ-  
ნულს დროს, რომლის გამო კრებაც  
იყო დანიშნული კომიტეტისა.

მე ჩემი წიგნები დავაფასე 300 მ.  
მაგრამ კომიტეტმა ყოველ გერ გაბედა,  
რადგანაც ფული არა გვაქვს იმდენი,  
და წიგნები დამიბრუნეს უკან.  
შემდეგ ამისა, როგორც კომიტეტის  
წევრს ბ. მეუწარგავს გარდაცეცია, რომ  
რადგანაც კომიტეტს არ ძალუძს შე-  
ძენა იმ ფასად, მე დავთანხმდები იმ  
ასზე, რასაც კომიტეტი შეიძლებს  
და გადასწყვეტენ-მეთქი. ბ. მეუწარ-  
გია შემპირდა, რომ კომიტეტს გარ-  
დაცემო. იმ დროს ზოგიერთი წევ-  
რნი ოფილისიდან წასულიყვნენ სა-  
ზაფხულოთ და რადგანაც უიმათოთ  
საქმე არ გათავდებოდა, დარჩა სექ-  
ტემბრის გასვლამდე, ვიდრე ჩამოე-  
ლენ ის პირები.

„დროშაში“ რომ შენიშვნა იყო,  
ჰყიდის, აი ამის შესახებ იყო და  
არა სხვა რომელიმე კერძო პირებზე  
გაყიდვისა. მე რომ გაყიდვა მდომი-  
ყოს, აქამდის ათჯერ გაყიდი, რად-  
განაც ბევრჯერ და ბევრს უთხოვ-  
ნია; მაგრამ კერძო პირებზე არც გა-  
მიყიდნია რამე და არც მიყიდი ვის-  
მეს, თუ არ ისევ რამე საგვარტომო  
საქმის დაარსებისთვის და ან ისევ  
ჩვენმა „წერა-კითხვის საზოგადოებამ“  
არ შეიძინა, რომლის მიზანიც არის  
ის, რომ დააარსონ ბიბლიოთეკა შეკ-  
რიბონ გაპყეული წიგნები, დაიფარონ  
უზბალო დახვეწისაგან და მით შეუმ-  
ზადონ მასალა ჩვენს მომავალთ სა-  
ქართველოს ისტორიკოსებს, მასალა  
სალიტერატურა და სამოქალაქო  
ისტორიის წერისათვის.

იმედი მაქვს, რომ ამ წერილს ყვე-  
ლა ის პირები ყურადღებას მიაქცევენ,  
ვინც კი იმ შენიშვნის შემდეგ წე-  
რილებით მთხოვს, რომ გვაცნობენ  
წიგნების სახელები და ფასი, რომ-  
ლის პასუხი არავისთვის მიმიცია.

წ. ჭიჭინაძე  
30 ივლისს.

„რა გვამო, რა გვაა?“--  
სხვა ჰაზრი მათ თავს არ ეკარება!  
„თოლოს წიგნსა ესწერ  
და კაბას ვიწერ!“--  
აი კიდევ მათ ნეტარება!..

ლენტებ-ბანტებით,  
უცხო კანტებით  
მინ არ შეჰხარის კაბას მორთულსა?!  
მოდის კაბები,  
მასკარადები  
მის არ აღუძვრენ სულსა და გულსა?!

აქ ტანციობა,  
თვალთ-მაქციობა--  
ხუ თუ ყველა ეს მოსაწყენია?!  
„საბრანიაში“  
იმ დიდ-ხმიანში  
რომ არ წაბრძანდეს--მოსათმენია?!

პალებს აიღებს,  
არას დაიკლებს,

„დროშის“ კორექტორები

ბორი, 28 ივლისს. წუხელის აქაურ  
როტანდაში წარმოადგინეს ერთი  
ლარიბი ყმაწვილის სასარგებლოთ.  
თ. რაფ. მრისთვის პიესა „ბიძასთან  
გამოხუმრება“.

მაყურებლები საკმაოდ იყვნენ, ხარ-  
ჯის გამორიცხვით, ჩემის ანგარიშით,  
უნდა ორას მანეთზედ მეტი დარჩეს,  
რადგანაც ზალა თითქმის საესე იყო  
ხალხით.

მოთამაშებში გარდა მას. მეღვინეთ-  
ხუტოვისა, ჯერ სცენაზედ არ გა-  
მოსულიყვნენ და ცოტა არა ხალხი  
შემოზდა, არ დავმანინჯებინათ ეს  
ჩინებული პიესა. ამათში თამაშობდა  
თავად იორამს მასწავლებელი პავლე  
ბურჯანაძე; მართლათ ისეთ ნაირი  
შთაბეჭდილება მოახდინა იმისმა სცე-  
ნაზედ გამოსვლამ, რომ ხალხი  
განცვიფრებით შესტყეროდა ამის  
ტანჯვას, რომ ნამგზავრი და დალა-  
ლული იყო, დისწულის სახლში ვაი-  
ვაგლახით მოახწია და ლუკმა-პური  
ვერ უშოვეს ეჭმათ. თამაშობდა  
აგრეთვე მ. ძერესელიძისა, რომელმაც  
დასწვა მაყურებლები; უნაკლოლოთ  
ხატავდა ჩანგის ლაპარაკს და დედა-  
კაცისას, ამასთანავე ისრე იცოდა  
თავის როლი, რომ სუფლიორი არ  
იყო საჭირო. რაც შეეხებოდა ხინჩლას  
როლის მოთამაშეს--მ. პოშორიძეს,  
ამანაც არა დააშავა--რა, ცოტა კი-  
ლოების გამოცვლაში სიტყვებს ჰყლა-  
პავდა. სანდროს და ზარაფის როლს  
თამაშობდა მას. მეღვინეთხუტოვი.  
ამაზედ ზემოთაც ესთქვი, სცენაზედ  
კულაგაც გამოსულა; როლები ამანაც  
კარგათ იცოდა; მხოლოთ საშინლათ  
აბუხულოც შემოვიდა, როდესაც წი-  
ნათ იორამი ნახა და ვალს სთხოვდა.  
ზოგას როლები ითამაშეს სუსტად  
მ. ივინოვისამ და თ. მრისთავისამ.  
იმერელ ბიჭს თამაშობდა მას. სააკოვი,  
რომელმანც საკმაოდ გააცინა მაყუ-  
რებლები, როცა სხვა-და-სხვა ერთ  
ელაპარაკებოდა იორამს.

მთლად შეისრულებს, რაც უნდა  
აკლდეს!  
როგორ იქნება,  
არა აქვს ნება--  
„საბრანიაში“ ერთხელ დააკლდეს!..

ზოგს მამა აძლევს,  
ზოგიც სხვას დასძლევს,  
ზოგს საკმაოდ აქვს ბიძიას ფული!..  
შველა ამ გვარად,  
თითქმის ერთ-ბარად,  
დაიარება მთლად მოკმაზული!..

აი ოპერაც...  
მათ გულმა ძვერაც  
უცბათ დაიწო და ააღელვა:  
„შთუოდ წავალ  
„ან დღეს და ან ხვალ“!  
ჰაზრი თავს მეცა, როგორც რომ  
ელვა!

„იქ ენახე ლოდის...“

საზოგადოებამ რამდენჯერმე გა-  
მოიხმო მოთამაშებში.  
მაყურებელი.

ნარკვევი

\* \* \* საგვარტომო თვითების ქვე-  
მარტად და უზაკველად გამომხატვე-  
ლი და მისი ავ-კარგიანობის მაუწყე-  
ბელი, როგორც მოგვხსენებთ, ენა  
არის. მგვარტომობა და ენა ისე არიან  
ერთმანეთთან შეკავშირებულნი, რო-  
გორც კაცის გვამი და სული. მრთის  
მოსაზება იმ დროსვე მეორეს ვაქარ-  
წყლებაც იქნება, და მეორეს აღმო-  
კვეთა პირველის შთანთქმა განლაგესთ.  
პოეტმა ქვემარტად სთქვა:

„რა ენა წახდეს,  
„მრიც დაეცეს...  
„მოცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!“

ამიტომაც, როცა რომელიმე და-  
ჩაგრულს გვარტომობას, ჩვენების  
ანუ სერბიელებისამებრ, „გარემოება-  
თა გამო სხვათა და სხვათა“ დროე-  
ბით არ შეუძლია გვარტომობის სა-  
ხელითა თავი კანონიერის უფ-  
ლების დაცვა ის, თითქოს ინ-  
სტინქტით, ენას მოეჭიდება ხოლმე,  
როგორც საიმედო კაცს, და ცილილო-  
ბს მის წმინდად დაცვას, განცხობე-  
ლებას და წარმატებას. „დიდ-ყურე-  
ბიან“ ვაჟ-ბატონების მეტი არაინ  
იტყვის, რომ ამ გვარ მდგომარეობა-  
ში მყოფის ხალხისაგან ენის დაცვა  
მარტო ენის სიყვარულსა, ან და  
სუტ-პატრიოტობას მიეწერებაო.

ამიტომაც, ჩვენ ყურადღების ღირ-  
სად მიგვაჩნია ჩვენების ხალხის უ-  
რი ვაზეთის ნარდნი დისტის წერი-  
ლები, რომელნიც ჩვენური ენის ნე-  
მეცურისაგან დაცვისათვის არიან და-  
წერილი. პირველ წერილში მოხსე-  
ნებულთა, რომ

„დედა ენაზედ გულ-აწრუება და ნემე-  
ცურის დეკა თან-და-თან ძლიერდება  
ჩვენში და ნამეტურ მისს დედა-ქალაქს,  
ზრავს. შეუძლებელია კაცმა ეს უგვახი

ნეტავი როდის  
იქნება მისი ხმა მოვისმინო!  
რომ არ იყოს დღეს?!  
მტერი მოგიკლდეს--  
ხელამდის, მოგკლდე ვერ მოვითმინო!“

„იმის ტუჩები.  
რბილ ფურფურები  
სწორეთ ღეთის ხელით დანახატია!  
წვერი, უღვაში,  
(სხვირიც შუაში.)  
და მთელი კაცი სწორეთ ხატია!..

\* \* \*  
აი ამ გვარად  
აქცა და მარად  
ჩვენ ქალებსა აქეთ გული გართული!  
მით დროსა ჰკლავენ  
და ჟინს იკლავენ!..  
დავიწყებით ყველა ქართული!

მნა ძლიერი,  
სამშობლო ერი,  
არამც არ ახსოვთ, კიდევაც ჰგმობენ!!

(უფრო მეტად სიუჟეტს, ან...  
მიდრეკილება უფროდღეობთ დასტოვოს.  
სასტუმროებსა და უგვახსნებში მასწავნი-  
ლი ყველა ჰატიოსანს კაცს ნემეცურის  
ენაზე დაედაზნაყება. ასეა მადანობისაგ.  
საქმე იქამდის მიაღწია, რომ ზოგიერთს  
საზოგადოებრივ ადგილებში, თუ დუქ-  
ნებში, ნემეცურად მოადაზნაყეს უფრო  
ჰატიოს სტუმრს, ვიდრე იმას ვინც ჩვენ-  
რად დაზნაყობს.“

ზაზეთის აზრით ეს საძრახისი მოე-  
ლენა უფრო ქალების ბრალია. მა-  
ლებმა არ იციან რა არის საგვარ-  
ტომო ამპარტანება და დედა ენის  
სიყვარული, და ამის გამო იკვებიან-  
ნანსიონებში შესწავლილ (საყველ-პუ-  
როდ ნემენცური ენით და მუდამ იმი-  
თი ლაყბობენ. მრთის სიტყვით ისინი  
თავიანთი ხალხის ვრდგულნი ვადა-  
გვარებენია. მეორე ნუხერში იგივე  
ვაზეთი ამბობს, ჩვენ ისე არიან გვა-  
ნემენცებს, როგორც ჩვენზე თავიო;  
ისე არაინ არ გვიმტროებს ჩვენს  
ენას, ისე წინდაუხედველად არაინ  
ეპყრობა მასო, როგორც ჩვენი ხალ-  
ხის ვადამენებული ახალთაობაო  
(ორივე სტქისს).

„უცხო ენაზე დაზნაყით იმას (ახალ-  
თაბას) ჰგონია უფრო ჰგუიანი და გე-  
თაღმობილი შეიქნება, ვიდრე ჩვენი ღთის-  
ნიერი დაზალი ხალხი, რომელნიც დედა  
ენით იზრდებიან, სტკებან და ნადგობან;  
იგი არ შეწყვეტს თავის ხალხის და  
სამშობლოს სსენებას და არც კი აქვს  
შესარცხვენი მიზეზი. ახლად, თითქმის  
მტრე გვარტომობისაგ, აჩვენს არ  
შეწყვეტს თავის დედა-მამის სსენებას  
და ყველა ამზარტანობით მოისსენიებს  
თავის ხალხს და სამშობლოს.“

საპატო ვაზეთს აქ უნდა შეენიშნოთ,  
რომ მტრე გვარტომობათა ასე მოხსე-  
ნება სრულიად უხამსია: საქმე ხალ-  
ხის სიდიდზე კი არაა დამოკიდებუ-  
ლი, არამედ იმის თვითების, ინტელ-  
ლეკტუალურ ვითარებაზეა.

ბოლოს ვაზეთი მიჰმართავს მოხე-  
ლებს, მოქალაქეებს, სოფლელებს და  
ურჩევს რომ ამ საფრზე გზას თავი

ხალხი და რჯული,  
სამშობლო სრული  
მთლათ დაიღუბოს... გულ-გრილად  
სთმობენ!!

ახლა მსურ, ვკითხო,  
ზამოვიკითხო:  
მნას, ხალხს გული რაზედ აჰყარეთ?!  
მაგრამ... კედელსა  
ამ უგრძობებელსა  
რამდენიც გინდათ, ცერცვი აყარეთ!!  
მაი ჩვენ ბედსა,  
დამწვარ იმედსა:

რის მომლოდინე აწრასა ვუშხერთ,  
და ჩვენთა ქალთა  
„სამშობლოს თვალთა“  
რა ფსალმუნებსა დღე-ღამე ვუმ-  
ღერთ!!

31 მკათაოჟე.



მოქალაქე... ნაშა გამოსე... ნილი და ვეკ... ღასაგან სმ-

გალმანიანი

(Гальманини)

ისეილება აფთიაქებში და აფთიაგის წამლების მალაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპოა მ წამლისა არის ფარმაცეიის მკაცრის გ. კანზინის აფთიაქში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35. დიდი კანთბა გალმანიანის ვარშავაში 50 კან. ღირს, მატარა—30 კან. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანიანი არ შემოგატყუონ. გ. კანზინსკი. (25—18)

შენიშვნა

რადგან მოქალაქეებსაში გამოჩენილი და მიღებული წამალი. თმის გასამაგრებელი მკე - მასტერი ერთობ ბევრი ისეილება, ამის გამო ინგლისის მალაზიაში ეს წამალი ხლა 2 მკეთად ღირს. (100—22)

„დროების“ ფორმა

—თ—ში, რ. ც—ეს. თქვენი პასუხი ვერ დაიბეჭდება გაზეთში. ბოლო აღარ ექნება უბრალო პოლომისას. სასამართლომ განგასამართლოს. —ს. კ—თში, თ. ხ—დეს. თქვენს მიწაზე „გეოგრაფიის მაკვეთილისას“ გაზეთში დასაბეჭდათ აღგილი არ ექნება. სჯობს მკოდნე კაცს გაუზავნეთ, ის გეტყვისთ—ღირს თუ არა, რომ განაგრძოთ თქვენი შრომა. ჩვენ გვერინაკი, რომ არა ღირს. —ფ—ს, მ. ბ—ს. შეგასრულეთ თქვენს თხოვნას: სანამ დაწერილებითი წერილი არ მოგვივა, ამას არ დავებეჭდათ. —ზ—ში, ა. თ. ს. ძორცსონდენციის გასამტყუენებლად ფაქტების მოყვანა საჭიროა. მარტო გინება არ კმარა. ამას გარდა თქვენ ვერ მიმხედარხართ—გინ არის კორცსონდენტი და „სხვის ბოსტანში“ ისეგით ტყუილ-უბრალოთ ქებდა. —მ. ი. ბ. ხ—ეს. თქვენი გაზეთი, როგორც აღრე, ისე ახლაც ბომის სტანციაზე იგზავნება. „ივერის“ მეორე წიგნიც ამ აღრესით არის გაზავნილი. მოიკითხეთ. —ზ—ში, მ. ც—ეს. ბოდიშ ვინდით, ჩვენი ექსპედიტორის შეცლომით, გაზეთი ისე ნუნში იგზავნება. ახლა კი მანდ მოგივით თავის ღროზე. —ქ—სში, ქ. ა—ს. „ათასად კაცი დაფსდა, ათი-ათასად ზრდილობა.“

დაანებონ, მით უფრო რომ ნემენცური ენა სოფლად გავრცელების დროს სიმდიდრეს და ნებეირობას იწვევს ხალხში და მითი ალატაკებს მათს სამშობლოს.

„განა შესაძლებელია სხვა სახლის კაცმა პატრივი გვეცეს, როცა ჩვენ თვითონ არ ვცემო პატრივს ჩვენს თავს?...“

„ეს სახუმრო საქმე არ არის. ეს არის ნამდვილი, სასტიკი ავადმყოფობა, რომლის მისასპობლადაც კარგად მოაფიქრება გვმართებს.“

ამბობს დასასრულ „ნაროდნი ღისტი, რომელის აზრსაც, რასაკვირველია, ყველა კაცად-კაცური გული უნდა თანაუგრძობდეს და მისი წადილის აღსრულებას სიხარულით მოელოდეს...“

უსხოეთი

წერილი ამბობი. კელის გაზეთს პარიჟიდან სწერენ, პ აგვისტოს აქ მოვიდნენ 115 პატივებუნი კომუნარები. მათ შორის 20 ქალი და 30 ემანუილები იყვნენ. რკინის გზის სადგურზე მათ შეეგება რომჭორი, რომლის ნახვა პატივებულებს მაინც-ღამაინც არ განარებიათ. მართი საათის შემდეგ კიდევ 20 პატივებულნი მოვიდნენ. უწესოება არა მომხდარა რა, თუმცა ვილაკამ რომჭორის დანახვისთანავე წამოიძახა: „გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციასო!“

სომხურს გაზეთს მშაგში დაბეჭდილია სტამბოლიდან მიღებული კორესპოდენცია, რომლის სიტყვითა, ინგლისელები ახალ-შენების (კოლონიების) დაარსებას აპირებენო სამხეთში, ზედ რუსეთის საზღვართან. ამ მიზნით ისინი თურმე დიდ-ძალ მიწებს ჰყიდულობენ რუსეთის მთელი სამხრეთის საზღვრის გაყოლებით, ქვემო და ზემო ბასსენაში (არზრუმის ოლქი) მუშის სანჯაყში და ალაშქერთის ვაკე-პორცსოდენტი აპებენ ამ მიწების ზედ.) მყიდველები კერძო კაცები კი არა ინგლისის მოხელენი არიანო.

ამის გამო მშაგა ურჩევს რუსეთის ქვეშევრდომთ სომხებს ერთობილი საჩივარი გამოაცხადონ რუსეთის მმართველობის საშველებით, რადგანაც ამით ძლიერ იზარალებს სომხების საფარტომო საქმე და რუსეთის ინტერესიც, რომლის გავლენას მკირე აზიაში ამით ფრთა შემოაკვეცება.

განსხალებანი

შემთხვევითი ისაიდავა აღბილი

რომელზედაც ამ ჟამად ბალია გაშენებული და რომელიც სამოასახლოთ გამოდგება. მს ადგილი მდებარებს

წყლის-პირა ქუჩაზედ, საზაფხულო პრუჟოკთან, სიგრძით 17 საჟენი და სიგანით 50 საჟენი. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გაიყოს და ისე გაიყიდოს.

შასისა და დაწერილებით პირობების შესატყობლად მსურველს შეუძლიან მიმართოს ბ. ღიშინსკის, მლი-სავეტის ქუჩაზე, სახლის № 132. (10—2)

ინგლისის მალაზია

Maison de confiance

შეადრეთ ჩვენი ხაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ხაის—1 მ. 40 კ. — — — 1—20 — — 1—60 — — 1—40 — — 1—80 — — 1—60 — — 2— — — — 1—80 — — 2—50 საუკეთესო—2— — — 3— —

იქვე ისეილება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალღლი შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, უნაფირები, კლიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად,

ერთის წლის ანგარიში

ყვარლის გამსახებელ - შემანახველის ახანაგრობისა

1879 წლის 1-ს იანვარს 1879 წლის იყო:

Table with 2 columns: მან. კაბ. and values for various categories like წილის ფული, სასარგებლოდ შემოტანილი, სათადარიგო თანხა, წმინდა მოგება, სულ.

Table with 2 columns: მან. კაბ. and values for various categories like მასესხებული დაშთენილი, ნალდი ფული, სულ.

1879 შემოვიდა.

Table with 2 columns: მან. კაბ. and values for various categories like წილის ფული, სარგებელი აღებული გასესხების დროს, ჯარიმა, დაბრუნებული ნასესხი ფული, სათადარიგო თანხა, სულ.

Table with 2 columns: მან. კაბ. and values for various categories like წილის ფული, მოგება წილზედ 1878 წ., მასესხებული ფული, მმართველობაზედ, აღებ-მიცემისა, სულ.

ანგარიშათვის 1880 წლის არის:

Table with 2 columns: მან. კაბ. and values for various categories like წილის ფული, სასარგებლოდ შემოტანილი ფული, სათადარიგო თანხა, წმინდა მოგება, სულ.

Table with 2 columns: მან. კაბ. and values for various categories like მასესხებული ფული, დაშთენილი, ნალდი ფული, სულ.

მისეილ მელაქოვი ნიკოლაზ მინსკიკა შვილი დაჯიოთ რუსია-შვიდი. (3—1)